

## **შპს ორი ნაბიჯი**

**ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისათვის

## **სარჩევი:**

|                                       |   |
|---------------------------------------|---|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... | 3 |
|---------------------------------------|---|

### **ფინანსური ანგარიშგება:**

|                                                               |   |
|---------------------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                      | 6 |
| მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... | 7 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება .....              | 8 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება .....                  | 9 |

### **ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:**

|                                                                  |    |
|------------------------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                       | 10 |
| 2. მომზადების საფუძველი .....                                    | 10 |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... | 11 |
| 4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა .....               | 12 |
| 5. ძირითადი საშუალებები .....                                    | 15 |
| 6. მარაგები .....                                                | 15 |
| 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                              | 16 |
| 8. ფული და ფულის ეკვივალენტები .....                             | 16 |
| 9. მიღებული სესხები .....                                        | 17 |
| 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                          | 17 |
| 11. ამონაგები .....                                              | 18 |
| 12. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება .....                   | 18 |
| 13. სხვა შემოსავლები .....                                       | 18 |
| 14. გაყიდვის და კომერციული ხარჯები .....                         | 18 |
| 15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                      | 19 |
| 16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....                     | 19 |
| 17. ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები .....            | 19 |
| 18. პირობითი ვალდებულებები .....                                 | 19 |
| 19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....           | 20 |

|                                |    |
|--------------------------------|----|
| მმართველობის ანგარიშგება ..... | 26 |
|--------------------------------|----|

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ორი ნაბიჯის“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

### მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ორი ნაბიჯის (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ

მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საკმარისობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

11 სექტემბერი, 2019 წელი



## **დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

შპს „ორი ნაბიჯის“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

### **მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს **ორი ნაბიჯის** (შემდეგში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### **მოსაზრების საფუძველი**

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

## **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

## **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს

კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საკმარისობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგბსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

#### **აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

#### **მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან**

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

11 სექტემბერი, 2019 წელი

შპს ორი ნაბიჯი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

|                                         | შენიშვნა | 2018              | 2017              |
|-----------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                         |          |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>            |          |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                    | 5        | 19,670,074        | 15,950,780        |
| არამატერიალური აქტივები                 |          | 671,145           | 401,809           |
|                                         |          | <u>20,341,219</u> | <u>16,352,589</u> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>            |          |                   |                   |
| მარაგები                                | 6        | 14,052,054        | 12,949,232        |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები         |          | -                 | 23,622            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები              | 7        | 3,747,016         | 2,261,063         |
| ფული და ფულის ეკვივალენტები             | 8        | 12,881,216        | 5,550,580         |
|                                         |          | <u>30,680,286</u> | <u>20,784,497</u> |
| <b>სულ აქტივები</b>                     |          | <u>51,021,505</u> | <u>37,137,086</u> |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>        |          |                   |                   |
| <b>კაპიტალი</b>                         |          |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                      |          | 557,284           | 557,284           |
| გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი) |          | 2,597,675         | (58,982)          |
|                                         |          | <u>3,154,959</u>  | <u>498,302</u>    |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>       |          |                   |                   |
| მიღებული სესხები                        | 9        | 158,295           | 7,016,570         |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>       |          |                   |                   |
| მიღებული სესხები                        | 9        | 9,122,525         | 2,442,122         |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები           | 10       | 38,222,159        | 27,180,092        |
| საგადასახადო ვალდებულებები              |          | 363,567           | -                 |
|                                         |          | <u>47,708,251</u> | <u>29,622,214</u> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>    |          | <u>51,021,505</u> | <u>37,137,086</u> |

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2019 წლის 11 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გ. გეორგელიძე

ფინანსური დირექტორი

შ. გიორგაძე

## შპს ორი ნაბიჯი

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

|                                         | <u>შენიშვნა</u> | <u>2018</u>       | <u>2017</u>       |
|-----------------------------------------|-----------------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                         |                 |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>            |                 |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                    | 5               | 19,670,074        | 15,950,780        |
| არამატერიალური აქტივები                 |                 | 671,145           | 401,809           |
|                                         |                 | <b>20,341,219</b> | <b>16,352,589</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>            |                 |                   |                   |
| მარაგები                                | 6               | 14,052,054        | 12,949,232        |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები         |                 | -                 | 23,622            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები              | 7               | 3,747,016         | 2,261,063         |
| ფული და ფულის ეკვივალენტები             | 8               | 12,881,216        | 5,550,580         |
|                                         |                 | <b>30,680,286</b> | <b>20,784,497</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                     |                 | <b>51,021,505</b> | <b>37,137,086</b> |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>        |                 |                   |                   |
| <b>კაპიტალი</b>                         |                 |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                      |                 | 557,284           | 557,284           |
| გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი) |                 | 2,597,675         | (58,982)          |
|                                         |                 | <b>3,154,959</b>  | <b>498,302</b>    |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>       |                 |                   |                   |
| მიღებული სესხები                        | 9               | 158,295           | 7,016,570         |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>       |                 |                   |                   |
| მიღებული სესხები                        | 9               | 9,122,525         | 2,442,122         |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები           | 10              | 38,222,159        | 27,180,092        |
| საგადასახადო ვალდებულებები              |                 | 363,567           | -                 |
|                                         |                 | <b>47,708,251</b> | <b>29,622,214</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>    |                 | <b>51,021,505</b> | <b>37,137,086</b> |

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2019 წლის 11 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი \_\_\_\_\_ გ. გეორგელიძე

ფინანსური დირექტორი \_\_\_\_\_ შ. გიორგაძე

## შპს ორი ნაბიჯი

## მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

|                                                    | შენიშვნა | 2018              | 2017              |
|----------------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| ამონაგები                                          | 11       | 232,054,550       | 168,212,100       |
| რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება               | 12       | (201,188,349)     | (139,988,707)     |
| <b>საერთო მოგება</b>                               |          | <b>30,866,201</b> | <b>28,223,393</b> |
| სხვა შემოსავალი                                    | 13       | 10,454,663        | 5,440,090         |
| მიწოდებისა და მარკეტინგული ხარჯები                 | 14       | (27,176,502)      | (23,569,792)      |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                  | 15       | (7,476,704)       | (5,047,753)       |
| სხვა ხარჯები                                       |          | (947,730)         | (110,850)         |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                           |          | <b>5,719,928</b>  | <b>4,935,088</b>  |
| საპროცენტო ხარჯი                                   | 9        | (1,515,379)       | (1,390,988)       |
| საპროცენტო შემოსავალი                              | 8        | 232,991           | -                 |
| საკუროსო სხვაობით გამოწვეული (ზარალი) მოგება, ნეტი |          | (140,796)         | 400,452           |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                          |          | <b>4,296,743</b>  | <b>3,944,552</b>  |
| მოგების გადასახადის ხარჯი                          |          | (246,013)         | -                 |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>                    |          | <b>4,050,730</b>  | <b>3,944,552</b>  |

10-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ორი ნაბიჯი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

|                                                    | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება (დაუფარავი<br>ზარალი) | სულ<br>კაპიტალი |
|----------------------------------------------------|-----------------------|-----------------------------------------------|-----------------|
| 2016 წლის 31 დეკემბრისთვის                         | 510,480               | (4,003,534)                                   | (3,493,054)     |
| მფლობელების შემონატანი<br>საწესდებო კაპიტალის ზრდა | 46,804                | -                                             | 46,804          |
| მთლიანი სრული შემოსავალი                           | -                     | 3,944,552                                     | 3,944,552       |
| 2017 წლის 31 დეკემბრისთვის                         | 557,284               | (58,982)                                      | 498,302         |
| მფლობელების შემონატანი<br>დივიდენდი                | -                     | (1,394,073)                                   | (1,394,073)     |
| მთლიანი სრული შემოსავალი                           | -                     | 4,050,730                                     | 4,050,730       |
| 2018 წლის 31 დეკემბრისთვის                         | 557,284               | 2,597,675                                     | 3,154,959       |

10-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## შპს ორი ნაბიჯი

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

|                                                                                          | შენიშვნა | 2018               | 2017               |
|------------------------------------------------------------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:</b>                                         |          |                    |                    |
| მოგება დაბეგვრამდე                                                                       |          | 4,296,743          | 3,944,552          |
| <b>კორექტირებები:</b>                                                                    |          |                    |                    |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                     | 14,15    | 2,613,968          | 1,909,214          |
| ზარალი ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან                                                   |          | 511,459            | 17,975             |
| საპროცენტო ხარჯი                                                                         | 9        | 1,515,379          | 1,390,988          |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                    | 8        | (232,991)          | -                  |
| საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი (მოგება), ნეტი                                        |          | 140,796            | (400,452)          |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში ცვლილებებამდე</b> |          | <b>8,845,354</b>   | <b>6,862,277</b>   |
| <b>ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:</b>                                                     |          |                    |                    |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა                                                         |          | (1,462,434)        | (1,351,777)        |
| მარაგების ზრდა                                                                           |          | (1,102,822)        | (4,088,868)        |
| წინასწარ გადახდილ გადასახადების შემცირება                                                |          | 23,623             | 56,062             |
| საგადასახადო ვალდებულებების ზრდა                                                         |          | 363,567            | -                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა                                                      |          | 11,158,676         | 10,251,349         |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები</b>                                 |          | <b>17,825,964</b>  | <b>11,729,043</b>  |
| გადახდილი პროცენტი                                                                       |          | (83,171)           | (3,320,090)        |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                                             |          | (246,013)          | -                  |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები</b>                          |          | <b>17,496,780</b>  | <b>8,408,953</b>   |
| <b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:</b>                                       |          |                    |                    |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა                                                           |          | (6,897,694)        | (4,998,478)        |
| არამატერიალური აქტივების შესყიდვა                                                        |          | (330,898)          | (202,622)          |
| მიღებული საპროცენტო სარგებელი                                                            |          | 232,991            | -                  |
| <b>საინვესტიციო საქმიანობისთვის გასული წმინდა ფულადი სახსრები</b>                        |          | <b>(6,995,601)</b> | <b>(5,201,100)</b> |
| <b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>                                           |          |                    |                    |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა                                                                 |          | -                  | 46,804             |
| მიღებული სესხების ზრდა                                                                   |          | 700,000            | 2,469,999          |
| მიღებული სესხების დაფარვა                                                                |          | (2,591,141)        | (3,336,737)        |
| გადახდილი დივიდენდი                                                                      |          | (1,394,073)        | -                  |
| <b>ფინანსური საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი ნაკადები</b>                             |          | <b>(3,285,214)</b> | <b>(819,934)</b>   |
| <b>ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა</b>                                               |          | <b>7,215,965</b>   | <b>2,387,919</b>   |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>                                       | <b>8</b> | <b>5,550,580</b>   | <b>3,215,081</b>   |
| გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულისა და ფულის ეკვივალენტებზე                          |          | 114,671            | (52,420)           |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>                                            | <b>8</b> | <b>12,881,216</b>  | <b>5,550,580</b>   |

10-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ორი ნაბიჯი (შემდეგში - კომპანია) დაარსდა 2009 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო მაღაზიებით ვაჭრობა. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოდგენილი იყო 137 და 111 საცალო მაღაზიით, წლების მიხედვით შესაბამისად.

კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება პარტნიორების გადაწყვეტილებით დანიშნული დირექტორის მიერ. კომპანიის დირექტორია გიორგი გეორგაძე. კომპანიას ასევე ყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება სამი წევრისგან.

კომპანიის იურიდიული მისამართია: # 39-41 ნავთლულის ქუჩა, თბილისი, საქართველო.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილის მფლობელები არიან:

|                 | 2018   | 2017   |
|-----------------|--------|--------|
| გოჩა ცქიტიშვილი | 33.34% | 33.34% |
| გიორგი ჩხეიძე   | 33.33% | 33.33% |
| კახი ბექაური    | 33.33% | 33.33% |

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით 100% წილების ჩადებული იყო მიღებული სესხების უზრუნველყოფაში მესამე მხარის სასარგებლოდ (განმარტებითი შენიშვნა 8).

## 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას. ფინანსური ანგარიშგებაში ციფრობრივი მონაცემები წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

### შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

### საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

### ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გავლენა მოახდინა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე და შეცვალა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა არის შემდეგი:

- ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები (ფასს 9); და
- ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (ფასს 15)

## 2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კომპანიამ გადაწყვიტა გამოეყენებინა ფასს 9 და ფასს 15-ზე გადასვლის გამარტივებული მიდგომა შესაძლო ეფექტების ასახვით 2018 წლის 1 იანვარისთვის, თუმცა ზემოხსენებულ სტანდარტებს არ ჰქონიათ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ნაშთებზე გადასვლის თარიღისთვის.

კომპანიას არ გაუკეთებია ფასს 9 და ფასს 15-ზე გადასვლის რაიმე სახის კორექტირება, იქიდან გამომდინარე, რომ ამას არსებითი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ნაშთებზე.

**ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:**

სტანდარტების საბჭომ გამოქვეყნა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

### ფასს 16 იჯარა

ფასს 16 მოქმედების სფეროში შედის ყველა იჯარის ხელშეკრულება, გარდა გამონაკლისებისა. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების ანაცვლოდ. სტანდარტი მოიცავს ორ გამონაკლისს: საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება (მაგ: პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (მაგ: იჯარა, რომლის ვადა ტოლია ან ნაკლებია 12 თვეზე). იჯარის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს იჯარის ვალდებულებას და აქტივს, როგორც აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარემ ცალკე უნდა აღიაროს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი.

ამ სტანდარტით მეიჯარეთათვის სააღრიცხვო მიდგომა დიდწილად არ იცვლება. ისინი უწინდებურად დააკლასიფიცირებენ იჯარას საოპერაციოდ ან ფინანსურად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. კომპანია აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სააღრიცხვო მსჯელობები და გადაწყვეტილებები მიმოიხილება სისტემატიურად. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების შემთხვევაში, ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში როდესაც ეს ცვლილება მოხდა, თუ ცვლილება ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, მაშინ ცვლილება გავლენას მოახდენს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

**გრძელვადიანი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება.** კომპანიამ დანერგა ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანიამ დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. ისტორიული განაკვეთები დაკორექტირებულია მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებლებზე.

კომპანია იყენებს საექვო ვალების რეზერვის გამოსათვლელად შემდეგ მომავალი ზარალის განაკვეთებს:

|                     | მიმდინარე | ვადაგადაცილება დღეებში |        |         |      |
|---------------------|-----------|------------------------|--------|---------|------|
|                     |           | 1-90                   | 90-180 | 181-360 | >360 |
| ზარალების განაკვეთი | 1%        | 3%                     | 20%    | 50%     | 100% |

### 4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკები
- ლიკვიდურობის რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- სავალუტო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებისგანაც წარმოიშობა ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები,
- ფული და ფულის ეკვივალენტები,
- მიღებული სესხები,
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. მიღებული სესხები შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მე-3 დონით.

#### ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

**4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშვა, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები.

მენეჯმენტმა შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება.

მენეჯმენტი საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით. მოთხოვნები, რომლებიც ვადაგადაცილებული ან გაუფასურებულია, განმარტებულია მე-7 შენიშვნაში.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

**სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

|                                | ლარი                | დოლარი           | ევრო         | სულ               |
|--------------------------------|---------------------|------------------|--------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>      |                     |                  |              |                   |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები     | 2,261,302           | 3,404            | -            | 2,264,706         |
| ფული და ფულის ეკვივალენტები    | 4,350,716           | 8,525,328        | 5,172        | 12,881,216        |
|                                | <b>6,612,018</b>    | <b>8,528,732</b> | <b>5,172</b> | <b>15,145,922</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |                     |                  |              |                   |
| მიღებული სესხები               | 902,144             | 8,378,676        | -            | 9,280,820         |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები  | 35,588,688          | 34,691           | -            | 35,623,379        |
|                                | <b>36,490,832</b>   | <b>8,413,367</b> | <b>-</b>     | <b>44,904,199</b> |
| <b>ღია საბალანსო პოზიცია</b>   | <b>(29,878,814)</b> | <b>115,365</b>   | <b>5,172</b> |                   |

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

|                                | ლარი                | დოლარი             | ევრო          | სულ               |
|--------------------------------|---------------------|--------------------|---------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>      |                     |                    |               |                   |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები     | 1,769,785           | 14,002             | -             | 1,783,787         |
| ფული და ფულის ეკვივალენტები    | 5,362,318           | 125,146            | 63,116        | 5,550,580         |
|                                | <b>7,132,103</b>    | <b>139,148</b>     | <b>63,116</b> | <b>7,334,367</b>  |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |                     |                    |               |                   |
| მიღებული სესხები               | 2,462,918           | 6,995,774          | -             | 9,458,692         |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები  | 26,634,939          | 115,128            | -             | 26,750,067        |
|                                | <b>29,097,857</b>   | <b>7,110,902</b>   | <b>-</b>      | <b>36,208,759</b> |
| <b>ღია საბალანსო პოზიცია</b>   | <b>(21,965,754)</b> | <b>(6,971,754)</b> | <b>63,116</b> |                   |

**4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)****სავალუტო რისკის მგრძნობელობა**

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას დოლარის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

| სავალუტო რისკის მგრძნობელობა       | 2018   |          | 2017        |           |
|------------------------------------|--------|----------|-------------|-----------|
|                                    | +20%   | -20%     | +20%        | -20%      |
| აშშ დოლარის ეფექტი მოგება/(ზარალი) | 23,073 | (23,073) | (1,394,351) | 1,394,351 |

**საპროცენტო რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას სესხები აღებული აქვს ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთით და შესაბამისად მისაღებ დონემდე აქვს დაყვანილი საპროცენტო რისკი.

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადა არის ერთ წლამდე, გარდა გრძელვადიანი მიღებული სესხებისა, რომელიც მიეკუთვნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადიანობას. ლიკვიდურობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                    | 2018         |                | 2017         |                |
|------------------------------------|--------------|----------------|--------------|----------------|
|                                    | 1 წლამდე     | 1-დან 5 წლამდე | 1 წლამდე     | 1-დან 5 წლამდე |
| ლიკვიდურობის სხვაობა               | (31,008,660) | (158,295)      | (22,588,276) | (7,016,570)    |
| აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა | (31,008,660) | (31,166,955)   | (22,588,276) | (29,604,846)   |

**კაპიტალის მართვა**

კომპანიის კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქციონერებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

**შპს ორი ნაბიჯი**

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

**5. ძირითადი საშუალებები**

| ისტორიული ღირებულება             | ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | კომპიუტერები და ტექნიკა | იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | ავტომობილები     | სხვა             | სხვა               |
|----------------------------------|-----------------------------|-------------------------|-------------------------------------|------------------|------------------|--------------------|
| <b>31 დეკემბერი 2016</b>         | <b>8,732,304</b>            | <b>2,810,144</b>        | <b>3,651,776</b>                    | <b>64,612</b>    | <b>746,595</b>   | <b>16,005,431</b>  |
| შეძენა                           | 2,053,205                   | 939,860                 | 1,381,385                           | 518,143          | 220,420          | 5,113,013          |
| გასვლა                           | -                           | -                       | -                                   | (39,998)         | (1,169)          | (41,167)           |
| <b>31 დეკემბერი 2017</b>         | <b>10,785,509</b>           | <b>3,750,004</b>        | <b>5,033,161</b>                    | <b>542,757</b>   | <b>965,846</b>   | <b>21,077,277</b>  |
| შეძენა                           | 3,659,119                   | 810,645                 | 1,980,426                           | 189,436          | 143,533          | 6,783,159          |
| გასვლა                           | (466,799)                   | (221,378)               | (31,163)                            | -                | (122,415)        | (841,755)          |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>         | <b>13,977,829</b>           | <b>4,339,271</b>        | <b>6,982,424</b>                    | <b>732,193</b>   | <b>986,964</b>   | <b>27,018,681</b>  |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>           |                             |                         |                                     |                  |                  |                    |
| <b>31 დეკემბერი 2016</b>         | <b>(1,838,562)</b>          | <b>(738,941)</b>        | <b>(443,707)</b>                    | <b>(17,883)</b>  | <b>(218,847)</b> | <b>(3,257,940)</b> |
| ცვეთა                            | (1,063,382)                 | (453,421)               | (288,554)                           | (16,474)         | (69,918)         | (1,891,749)        |
| გასვლა                           | -                           | -                       | -                                   | 22,393           | 799              | 23,192             |
| <b>31 დეკემბერი 2017</b>         | <b>(2,901,944)</b>          | <b>(1,192,362)</b>      | <b>(732,261)</b>                    | <b>(11,964)</b>  | <b>(287,966)</b> | <b>(5,126,497)</b> |
| ცვეთა                            | (1,482,232)                 | (468,861)               | (385,545)                           | (131,644)        | (84,124)         | (2,552,406)        |
| გასვლა                           | 108,100                     | 146,915                 | 5,271                               | -                | 70,010           | 330,296            |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>         | <b>(4,276,076)</b>          | <b>(1,514,308)</b>      | <b>(1,112,535)</b>                  | <b>(143,608)</b> | <b>(302,080)</b> | <b>(7,348,607)</b> |
| <b>ნეტო საბალანსო ღირებულება</b> |                             |                         |                                     |                  |                  |                    |
| <b>31 დეკემბერი 2017</b>         | <b>7,883,565</b>            | <b>2,557,642</b>        | <b>4,300,900</b>                    | <b>530,793</b>   | <b>677,880</b>   | <b>15,950,780</b>  |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>         | <b>9,701,753</b>            | <b>2,824,963</b>        | <b>5,869,889</b>                    | <b>588,585</b>   | <b>684,884</b>   | <b>19,670,074</b>  |

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები ჩადებული იყო მესამე მხარისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფაში (შენიშვნა 9).

**6. მარაგები**

|            | 2018              | 2017              |
|------------|-------------------|-------------------|
| საკვები    | 8,509,100         | 8,251,180         |
| არასაკვები | 2,615,708         | 2,228,983         |
| სასმელი    | 2,340,383         | 2,012,808         |
| სხვა       | 586,863           | 456,261           |
|            | <b>14,052,054</b> | <b>12,949,232</b> |

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგები ჩადებული იყო მესამე მხარისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფაში (შენიშვნა 9).

## შპს ორი ნაბიჯი

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

#### 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                              | 2018             | 2017             |
|------------------------------|------------------|------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>    |                  |                  |
| სავაჭრო მოთხოვნები           | 2,082,695        | 1,404,191        |
| სხვა მოთხოვნები              | 182,011          | 379,596          |
|                              | <b>2,264,706</b> | <b>1,783,787</b> |
| <b>არაფინანსური აქტივები</b> |                  |                  |
| გადახდილი ავანსები           | 1,482,310        | 477,276          |
|                              | <b>3,747,016</b> | <b>2,261,063</b> |

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადაგადაცილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                             | 2018             | 2017             |
|---------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>ვადაგადაცილების გარეშე</b>               | <b>1,676,040</b> | <b>1,070,679</b> |
| <b>ვადაგადაცილებული გაუფასურების გარეშე</b> | <b>588,666</b>   | <b>713,108</b>   |
| 1-90 ვადაგადაცილება                         | 420,417          | 467,152          |
| 91-180 ვადაგადაცილება                       | 2,235            | 59,319           |
| 181-360 ვადაგადაცილება                      | 38,486           | 66,536           |
| 360-ზე მეტი ვადაგადაცილება                  | 127,528          | 120,101          |
|                                             | <b>2,264,706</b> | <b>1,783,787</b> |

#### 8. ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                    | 2018              | 2017             |
|------------------------------------|-------------------|------------------|
| ფული სალაროში                      | 1,408,678         | 730,454          |
| ფული ბანკში, მიმდინარე ანგარიშებზე | 11,076,652        | 4,541,519        |
| ფული გზაში                         | 395,886           | 278,607          |
|                                    | <b>12,881,216</b> | <b>5,550,580</b> |

ფულის და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ფულის განთავსებით კომპანიამ 2018 წლის განმავლობაში მიიღო 232,992 ლარის საპროცენტო სარგებელი.

## შპს ორი ნაბიჯი

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

#### 9. მიღებული სესხები

|                      | დაფარვის<br>თარიღი | ვალუტა     | საპროცენტო<br>განაკვეთი % | 2018             | 2017             |
|----------------------|--------------------|------------|---------------------------|------------------|------------------|
| სს ბიჯი კაპიტალი*    | 11-02-19           | აშშ დოლარი | 20%                       | 8,378,676        | 6,654,540        |
| სს თიბისი ბანკი      | 18-10-19           | ლარი       | 9.25%                     | 587,064          | -                |
| სს საქართველოს ბანკი | 17-11-20           | ლარი       | 9.8%                      | 315,080          | 2,459,404        |
| სს თიბისი ლიზინგი    | 25-10-18           | აშშ დოლარი | 15%                       | -                | 344,748          |
|                      |                    |            |                           | <b>9,280,820</b> | <b>9,458,692</b> |

\*საპროცენტო ვალდებულება ყოველი თვის ბოლოს ემატება ძირითად თანხას. სესხის ძირისა და პროცენტის დაფარვა ხდება ერთიანად სესხის დაფარვის თარიღში.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის მიღებულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 1,515,379 და 1,390,988 ლარი, წლების შესაბამისად.

ბიჯი კაპიტალისგან მიღებული სესხისათვის უზრუნველყოფაში ჩადებულია კომპანიის მოძრავი და უძრავი ქონება, ასევე მფლობელების 100%-იანი წილი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის სატრანსპორტო საშუალებებით მაქსიმუმ 500,000 ლარის ოდენობით.

მიღებული სესხები შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მე-3 დონით. მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ფინანსური ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                  | 2018             | 2017              |
|----------------------------------|------------------|-------------------|
| <b>1 იანვრის მდგომარეობით</b>    | <b>9,458,692</b> | <b>12,701,584</b> |
| <b>ფულადი ოპერაციები</b>         |                  |                   |
| მიღებული სესხები                 | 700,000          | 2,469,999         |
| ძირის გადახდა                    | (2,591,141)      | (3,336,737)       |
| პროცენტის გადახდა                | (83,171)         | (3,320,090)       |
| <b>არაფულადი ოპერაციები</b>      |                  |                   |
| საპროცენტო ხარჯი                 | 1,515,379        | 1,390,988         |
| საკურსო სხვაობის ეფექტი          | 281,061          | (447,052)         |
| <b>31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>9,280,820</b> | <b>9,458,692</b>  |

#### 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                          | 2018              | 2017              |
|------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>           |                   |                   |
| სავაჭრო ვალდებულებები                    | 33,918,659        | 25,322,507        |
| სხვა ვალდებულებები                       | 882,742           | 991,428           |
| სახელფასო ვალდებულებები                  | 821,978           | 436,132           |
|                                          | <b>35,623,379</b> | <b>26,750,067</b> |
| <b>არაფინანსური ვალდებულებები</b>        |                   |                   |
| მიღებული ავანსები                        | 2,598,780         | 430,025           |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b> | <b>38,222,159</b> | <b>27,180,092</b> |

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ფინანსური ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

## შპს ორი ნაბიჯი

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

#### 11. ამონაგები

|            | 2018               | 2017               |
|------------|--------------------|--------------------|
| საკვები    | 169,190,027        | 116,773,441        |
| არასაკვები | 34,337,935         | 26,138,184         |
| სასმელი    | 28,526,588         | 25,300,475         |
|            | <b>232,054,550</b> | <b>168,212,100</b> |

#### 12. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

|            | 2018                 | 2017                 |
|------------|----------------------|----------------------|
| საკვები    | (144,388,354)        | (96,318,617)         |
| არასაკვები | (31,664,230)         | (22,158,527)         |
| სასმელი    | (25,135,765)         | (21,511,563)         |
|            | <b>(201,188,349)</b> | <b>(139,988,707)</b> |

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება შემცირებულია 11,934,427 და 8,279,958 ლარის სავაჭრო ფასდაკლებით, წლების შესაბამისად.

#### 13. სხვა შემოსავლები

|                                               | 2018              | 2017             |
|-----------------------------------------------|-------------------|------------------|
| სარეკლამო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი* | 3,514,149         | 2,862,371        |
| ფულადი ფასდაკლებები                           | 6,094,248         | 1,924,892        |
| საკომისიო შემოსავალი                          | 629,243           | 510,126          |
| სხვა                                          | 217,023           | 142,701          |
|                                               | <b>10,454,663</b> | <b>5,440,090</b> |

\*სარეკლამო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი გულისხმობს მაღაზიებში სარეკლამო ბანერების განთავსებას და სხვა სარეკლამო მომსახურებებს.

#### 14. გაყიდვის და კომერციული ხარჯები

|                                           | 2018                | 2017                |
|-------------------------------------------|---------------------|---------------------|
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი | (9,786,623)         | (8,491,794)         |
| იჯარები                                   | (9,007,011)         | (7,096,900)         |
| კომუნალურები                              | (2,697,863)         | (1,991,157)         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                      | (2,478,878)         | (1,824,035)         |
| საბანკო მომსახურება                       | (1,165,676)         | (823,995)           |
| ფლავრები და სხვა ბეჭდვითი რეკლამირება     | (197,165)           | (309,743)           |
| შესაფუთი მასალები                         | (63,144)            | (1,594,030)         |
| სხვა                                      | (1,780,142)         | (1,438,138)         |
|                                           | <b>(27,176,502)</b> | <b>(23,569,792)</b> |

## შპს ორი ნაბიჯი

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

#### 15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                           | 2018               | 2017               |
|-------------------------------------------|--------------------|--------------------|
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი | (5,517,957)        | (3,230,734)        |
| გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა  | (1,013,275)        | (982,392)          |
| საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება*  | (137,443)          | (118,235)          |
| ცვეთა და ამორტიზაცია                      | (135,090)          | (85,179)           |
| იჯარები                                   | (132,596)          | (127,469)          |
| სხვა                                      | (540,343)          | (503,744)          |
|                                           | <b>(7,476,704)</b> | <b>(5,047,753)</b> |

\*აუდიტის გადასახადი 2018 და 2017 წელს შეადგენდა 34,500 და 38,000 ლარი, წლების შესაბამისად.

#### 16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები და ნაშთები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                      | 2018                       | 2017                                   |
|--------------------------------------|----------------------------|----------------------------------------|
|                                      | უმაღლესი<br>ხელმძღვანელობა | უმაღლესი<br>მფლობელი<br>ხელმძღვანელობა |
| საპროცენტო ხარჯი                     | -                          | (132,545)                              |
| თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი | (414,476)                  | -                                      |
|                                      |                            | (343,125)                              |

#### 17. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

არა-მაკორექტირებელი მოვლენები:

2019 წლის იანვრიდან ივლისამდე კომპანიამ გახსნა 31 ახალი მაღაზია.

2019 წლის თებერვალში კომპანიამ სრულად დაფარა სს ბიჯი კაპიტალის სესხის ვალდებულება

#### 18. პირობითი ვალდებულებები

კომპანიის ერთ-ერთმა მომწოდებელმა 2018 წლის 21 აგვისტოს სარჩელი აღძრა კომპანიის წინააღმდეგ, რომლითაც ითხოვს, რომ კომპანიამ დაუკომპენსიროს 958,629 ლარის ზარალები, რომელიც მომწოდებელმა მიიღო კომპანიასთან ნასყიდობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შედეგად. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მომწოდებელს სრულად უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მომწოდებელმა 2018 წლის 06 დეკემბერს გაასაჩივრა სააპელაციო წესით. კომპანიის მენეჯმენტს მოლოდინი აქვს რომ მოიგებს დავას და შესაბამისად არ მოუხდენია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულების აღიარება.

## 19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

### ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

ფასს 15-ის დანერგვამ მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა კომპანიის 2018 წლის შემოსავლებზე. კომპანიამ ფასს 15-ის დანერგვისთვის აირჩია კუმულაციური ეფექტის მეთოდი, რომელიც არ მოითხოვს წინა წლების რიცხვების გადაანგარიშებას.

### შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლები მოიცავს საცალო მაღაზიებში მარაგების გაყიდვას. მომხმარებლებზე კონტროლი გადადის მომხმარებლის მიერ საცალო მაღაზიებში პროდუქციის გაყიდვიდან და შესაბამისად კომპანია შემოსავლებს აღიარებს დროის გარკვეულ მონაკვეთში. კომპანია თავის შეთანხმებებში არის მარწმუნებელი.

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა როდის მოხდება ანაზღაურება. შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე, გადასახადების გამოკლებით.

მომხმარებლებს არ აქვთ უფლება რომ პროდუქცია დააბრუნონ ან ჩაანაცვლონ.

### გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით. ფასები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად, თუმცა მომხმარებელმა თითოეულ პროდუქტზე იცის ფასი ყიდვამდე. მომხმარებელი ფულის იხდის პროდუქციის შესყიდვის მომენტში. შესაბამისად კომპანია არ აკორექტირებს ამონაგებს ფულის დროითი ღირებულების გამო.

### გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

კომპანია პროდუქციას ყიდის ფიქსირებული ფასებით თითოეულ პროდუქტზე, შესაბამისად კომპანია არ იყენებს მსჯელობას თითოეულ გასაყიდ პროდუქტზე ფასების განაწილებისას.

### გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

კომპანია მისი საქმიანობის პროცესში იღებს შემდეგ ფასდაკლებებს:

მომწოდებლებისგან მიღებული სავაჭრო ფასდაკლებები რომლებიც დამოკიდებულია შეძენის ან გაყიდვის სხვადასხვა პირობაზე. ასეთი ფასდაკლებები ამცირებს მარაგების თვითღირებულებას ან პირდაპირ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას.

ფასდაკლებები რომლებიც დაკავშირებულია სავაჭრო ვალდებულებების გადახდის პირობებზე. ასეთი ფასდაკლებები აღიარდება მოგებასა და ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში როგორც სხვა საოპერაციო შემოსავალი.

### მიღებული ფასდაკლებები

კომპანია მისი საქმიანობის პროცესში იღებს შემდეგ ფასდაკლებებს:

მომწოდებლებისგან მიღებული სავაჭრო ფასდაკლებები რომლებიც დამოკიდებულია შეძენის ან გაყიდვის სხვადასხვა პირობაზე. ასეთი ფასდაკლებები ამცირებს მარაგების თვითღირებულებას ან პირდაპირ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას.

ფასდაკლებები რომლებიც დაკავშირებულია სავაჭრო ვალდებულებების გადახდის პირობებზე. ასეთი ფასდაკლებები აღიარდება მოგებასა და ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში როგორც სხვა საოპერაციო შემოსავალი.

### ფინანსური ინსტრუმენტები

#### ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, დამოკიდებული აქტივის ფლობის მიზანზე. კომპანია არ ფლობს ფინანსურ აქტივს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალის ასახვით ან რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ასახვით.

## 19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

გაუფასურების ზარალები მიმდინარე და გრძელვადიანი მოთხოვნებისთვის აღიარდება გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, ფასს 9-ის ფარგლებში ვადაგადაცილებების მატრიცის გამოყენებით იმის დასადგენად, თუ რა არის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. პროცესში კომპანია ახდენს მოთხოვნის გადაუხდელი ნაწილის ალბათობის შეფასებას. იმისთვის, რომ კომპანიამ განსაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები, მიღებულ ალბათობას ამრავლებს საკრედიტო ზარალებზე წარმომოხილი დეფოლტის შემთხვევაში.

გაუფასურების რეზერვები დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებზე და გაცემულ სესხებზე აღიარდება მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მოდელის შესაბამისად. მეთოდოლოგია, რომელსაც კომპანია იყენებს გაუფასურების რეზერვის განსაზღვრისთვის, დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ არ გაზარდილა საკრედიტო რისკი, კომპანია ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი, კომპანია ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ აქტივებზე, რომელსაც კომპანია განსაზღვრავს, რომ უკვე გაუფასურებულია, ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ნეტო მეთოდით.

დროთა განმავლობაში კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებებს მომხმარებლებთან მოთხოვნების პირობებთან დაკავშირებით, ვისთანაც კომპანიას ადრე კარგი სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა. ასეთი მოლაპარაკებები ხელს უწყობს გადახდის დროულობას და არ ცვლის მისაღები

ანაზღაურების ოდენობას. ახალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად და საბალანსო ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (საოპერაციო მოგება).

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. კომპანია არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებს კლასიფიკაციას რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

## 19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

### ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთ გადახურვისთვის.

### რეალური ღირებულებით შეფასება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძლებელია ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივის
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორისი სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                                  | აშშ დოლარი / ლარი | ევრო/ლარი |
|----------------------------------|-------------------|-----------|
| კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6766            | 3.0701    |
| კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.5922            | 3.1044    |

## 19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

### ჯგუფი

### სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)

|                                     |      |
|-------------------------------------|------|
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა         | 5-15 |
| კომპიუტერები და ტექნიკა             | 5-15 |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 5-15 |
| ავტომობილები                        | 5    |
| სხვა                                | 5-10 |

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება იჯარის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

### არამატერიალური აქტივები

კომპანიის საკუთრებაში არსებულ ყველა არამატერიალური აქტივისთვის განსაზღვრულია სასარგებლო მომსახურების ვადა. არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს. არამატერიალური აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით და განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადაა 7 წელი.

### არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა მარაგებისა.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

### მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს ყველა შეძენის ხარჯსა და ხარჯებს რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

## 19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებას ან ზარალში.

### დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

### ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

### საოპერაციო იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

### ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

### დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. შუალედური და საბოლოო დივიდენდების დამტკიცება ხდება, აქციონერთა საერთო კრებაზე.

### ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

## **19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

### **საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

### **ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათაო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

### **პირობითი აქტივები და ვალდებულებები**

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. პირობითი აქტივები აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში როცა მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

## 1. ზოგადი ინფორმაცია, შედეგები და განვითარების გეგმები

### 1.1 ზოგადი ინფორმაცია


შპს „ორი ნაბიჯი“ დაარსდა 2009 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი ძირითადი საქმიანობაა საცალო მაღაზიებით ვაჭრობა. კომპანიის იურიდიული მისამართია: # 39-41 ნავთლულის ქუჩა, თბილისი, საქართველო. ამავე მისამართზე მდებარეობს მისი სათაო ოფისიც. კომპანია 2018 წლის ბოლოს წარმოდგენილი იყო 137 მაღაზიით რომლებიდანაც 120 მდებარეობს თბილისში, 13 რუსთავეში და თითო-თითო მარნეულში, საგარეჯოში, ახმეტასა და გარდაბანში.

2018 წელს კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 1490.


დღეისათვის კომპანია „ორი ნაბიჯი“ წარმოდგენს ერთ-ერთ ლიდერს საქართველოს საცალო ვაჭრობის ბაზარზე. კომპანია წარმატებით უზრუნველყოფს მომხმარებელთა კმაყოფილებას ახალი და უსაფრთხო პროდუქციის ყველაზე დაბალ ფასად შეთავაზების გზით.

### 1.2 შედეგები და მდგომარეობის ანალიზი

კომპანია ინტენსიურად იზრდებოდა ბოლო წლებში, რაც კარგად ჩანს ქვემოთ მოცემულ ცხრილში:



მაღაზიების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა როგორც გრძელვადიან აქტივებში ინვესტირებული თანხები, ასევე კომპანიის შემოსავლები:



## შპს ორი ნაბიჯი

### მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

#### 1.3 კომპანიის სხვა ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მაღაზიების რაოდენობის, ძირითადი საშუალებებში ინვესტირებული თანხებისა და თანამშრომელთა რაოდენობის გარდა, კომპანია ასევე დიდი ყურადღებას უთმობს საოპერაციო ეფექტურობას, რომელსაც შემოსავლებში დანახარჯების წილებზე დაკვირვებითა და დანახარჯების წყაროების კონტროლით ახორციელებს.

აღნიშნულის გამო 2018 წელს წინა წელთან შედარებით, მიუხედავად საერთო მოგების მარჟის 3.5% ით შემცირებისა, საოპერაციო მოგება მხოლოდ 0.4% ით შემცირდა, რამაც ასევე გამოიწვია თანხაში მისი ზრდა.

000 ლარი

შემოსავალი

რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

საერთო მოგება

საერთო მოგების მარჟა

2018

232,055

(201,188)

30,866

13.3%



2017

168,212

(139,989)

28,223

16.8%



2018 წელს წინა წელსთან შედარებით ასევე გაზრდილია ე.წ „Interest coverage ratio“:

საოპერაციო მოგება

საპროცენტო ხარჯები, ნეტო

Interest Coverage Ratio

2018

5,719,926

1,515,379

3.8

2017

4,935,088

1,390,988

3.5

სხვა ფინანსური ინფორმაცია დეტალურად არის განხილული 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

#### 1.4 კომპანიის საქმიანობა და განვითარების გეგმები

კომპანიის დაარსების დღიდან „ორი ნაბიჯის“ ძირითად საქმიანობას საცალო ვაჭრობის ქსელის განვითარება და მართვა წარმოადგენს. კომპანიის სტრატეგია არის მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის ყოველდღიური საჭიროების პროდუქტების და ახალი ხილის საუკეთესო ფასად შეთავაზება მათ საცხოვრებელ სახლთან ახლოს. აღნიშნული სიახლოვე და შეთავაზებული ასორტიმენტი მიზნად ისახავს მომხმარებლებისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნას.

კომპანია აქტიურად აგრძელებს საცალო ქსელის განვითარებას თბილისში და რუსთავეში, ასევე 2018 წელს გახსნა რამდენიმე მაღაზია სხვადასხვა რეგიონში.

მსოფლიო ტრენდებიდან და დასახული მიზნებიდან გამომდინარე კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში საშუალებას მისცემს კომპანიას მეტი კომფორტი შეუქმნას საკუთარ მომხმარებელს.

### **1.5 ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ**

კომპანიას არ გამოუშვია და არც შეუძენია საკუთარი აქციები მიმდინარე სააღრიცხვო წელს.

## **2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში კომპანია დგას რიგი რისკების წინაშე რომლებსაც შესაბამისად რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, სისტემატიზაციას, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს.

### **2.1 ქვეყნის ეკონომიური ფაქტორებისა და გარემოს რისკი**

კომპანია მხოლოდ საქართველოში საქმიანობს და შესაბამისად მის შემოსავლებსა და მოგებაზე პირდაპირი გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, როგორიცაა : ეკონომიური ზრდა, ინფლაცია, უმუშევრობა, კონკურენტული ბიზნეს გარემოს არსებობა და ა. შ. აღნიშნული რისკებისგან თავის დასაცავად მუდმივად მიმდინარეობს შესაბამისი პროცესების მონიტორინგი ფინანსური დირექტორის, დირექტორისა და დირექტორთა საბჭოს წევრების მხრიდან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

### **2.2 საკანონმდებლო რისკი**

კომპანია საქართველოში აწარმოებს საქმიანობას შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში იმ გვარად რეაგირება, რომ კომპანიის საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონმდებლობასთან.

### **2.3 საოპერაციო რისკი**

როგორც ყველა კომპანია შპს „ორი ნაბიჯი“-ც დგას საოპერაციო რისკების წინაშე. კომპანიაში შექმნილია შიდა კონტროლის სამსახური, რომელიც აღნიშნული რისკების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოჩენასა და პრევენციას ახდენს. ასევე ყოველკვირეულად განიხილება ტოპ მენეჯმენტის მხრიდან მიმდინარე საოპერაციო საქმიანობა და შესაძლო რისკები. ყოველ თვის რეპორტირებისას ხდება მიმდინარე/დაგეგმილ/წინა პერიოდის ფინანსურ/არაფინანსურ მონაცემებს შორის ანალიზი და განსხვავების გაანალიზება რისკების შესამცირებლად.

## **2.4 საკრედიტო რისკები**

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ხდება ყოველი ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება კლიენტისთვის კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადების და პირობების შეთავაზება.

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

მოთხოვნები, რომლებიც ვადაგადაცილებული ან გაუფასურებულია, განმარტებულია 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

## **2.5 ლიკვიდურობის რისკები**

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში რომ არ დაზიანდეს კომპანია და კომპანიის რეპუტაცია. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. დეტალები კომპანიის აქტივებზე და ვალდებულებებზე ასევე მოცემულია 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

## **2.6 საბაზრო რისკები**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვალოს საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან სესხები აღებული აქვს ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთით.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო.

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას დოლარის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

შპს ორი ნაბიჯი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

| სავალუტო რისკის მგრძნობელობა       | 2018   |          | 2017        |           |
|------------------------------------|--------|----------|-------------|-----------|
|                                    | +20%   | -20%     | +20%        | -20%      |
| აშშ დოლარის ეფექტი მოგება/(ზარალი) | 23,073 | (23,073) | (1,394,351) | 1,394,351 |

კომპანია მუდმივად ადევნებს თვალყურს სავალუტო კურსის მიმდინარე ცვლილებებსა და მოლოდინებს.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 11 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გ. გორბელიძე

ფინანსური დირექტორი



შ. გიორგაძე

**შპს ორი ნაბიჯი**

**მმართველობის ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

| სავალუტო რისკის მგრძნობელობა       | 2018   |          | 2017        |           |
|------------------------------------|--------|----------|-------------|-----------|
|                                    | +20%   | -20%     | +20%        | -20%      |
| აშშ დოლარის ეფექტი მოგება/(ზარალი) | 23,073 | (23,073) | (1,394,351) | 1,394,351 |

კომპანია მუდმივად ადევნებს თვალყურს სავალუტო კურსის მიმდინარე ცვლილებებსა და მოლოდინებს.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 11 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი \_\_\_\_\_ გ. გეორგელიძე

ფინანსური დირექტორი \_\_\_\_\_ შ. გიორგაძე